

შპს „ჯორჯიან რემედი ლიმიტედ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „ჯორჯიან რემედი ლიმიტედ“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 23.09.2014წ. ს/ნ 405 063 452

ქეთევან ნეფარიძე - პ/ნ 01011005417 – 100 % წილის მმართველი

კომპანიის დირექტორი ქეთევან ნეფარიძე პ.ნ. 01011005417

კომპანიის იურიდიული მისამართი : ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. №6, ბინა №19,

კომპანიის ფაქტობრივი მისამართი : ქ.თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი N 6

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 800 563 ლარს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს : საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით.

კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს

კომპანიას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე კომპანიები, ასევე არ გააჩნია ფილიალები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხორციელდება მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

- 2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსებით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები დენომინირებულია მოცემული თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. აღნიშნული ოპერაციებიდან გამოწვეული ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში იმავე პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.
- 2.3 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.
- 2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად, შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.
- 2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების შესაბამისად.
- 2.6 მოგების გადასახადი:
- მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“.
 - დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნებისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და განაცემებს.
- 2.7 2023 წლის მარტიდან მოხდა დაგროვილი დივიდენდის განაწილება. განაწილებული დივიდენდის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 257 170,08 (ორას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ასამოცდაათი ლარი და 08 თეთრი) ლარი. იგი განაწილდა კომპანიის ერთ დამფუძნებელზე ქუთვან ნეფარიძეზე.
- 2.8 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს, ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

- 2.9 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- 2.10 ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.
- 2.11 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით. (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით)
- 2.12 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.
- 2.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:
- რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით.
 - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება
- 2.14 სავაჭრო ვალდებულებები :
- სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს
 - კრედიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება
 - საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსით.
 - გადაანგარიშების შედეგად მიღებული საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება კომპანიის სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.
- 2.15 კომპანიას აქვს ბანკის სესხი, რომელზეც ერიცხება საპროცენტო გადასახადი. აღნიშნული გადასახადი აისახება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის მიერ საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული პროცენტის შესაბამისად.
- 2.16 ვადაგადაცილებული დავალიანება კომპანიას არ ერიცხება.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს

მ.პ.ს „ჯორჯიან რემედი ლიმიტედ“ -ის დირექტორი
ქეთევან ნეფარიძე



აქტივები	2022	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	24 677	1 598
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 305 817	1 233 919
სხვა პირებს ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2 932	183 570
მარაგები	19 327	27 463
შუა პროდუქცია	15 622	26 124
სხვა	3 705	1 339
საინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1 484	14 563
ბიოლოგიური აქტივები	-	-
თვითღირებულების მოდულით	-	-
გადაფასების მოდულით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	3 305	3 213
ძირითადი საშუალებები	70 555	96 622
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	1 428 097	1 560 948

ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	55 106	0
ანარიცხები	3 151	2 011
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	31 565	35 760
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	42 140	3 133
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	28 331	40 299
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	160 293	81 203

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2 800 563	2 800 563
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-1 532 759	-1 320 818
გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა რეზერვები		

სულ საკუთარი კაპიტალი	1 267 804	1 479 745
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 428 097	1 560 948
სულ მოკლევადიანი აქტივები	1 354 237	1 461 113
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	76 858	40 903

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:



შპს ჯორჯიან რემედი ლიმიტედ

ფორმა N 2- საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2022	2023
ნეტო ამონაგები	2 540 632	2 101 502
საქონლის გაყიდვიდან	2 540 632	2 101 502
მომსახურების გაწევიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	-535 299	-429 251
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	2 005 333	1 672 251
სხვა საოპერაციო შემოსავალი	21 778	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	-712 470	-706 409
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-6 191	-6 916
საპროცენტო შემოსავალი:	-	-
საპროცენტო ხარჯი :	-6 274	-1 707
იჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-538 900	-471 446
სულ საოპერაციო ხარჯები	-1 242 057	-1 186 478

საოპერაციო მოგება	763 276	485 773
-------------------	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	-16 662
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	763 276	469 111
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	763 276	469 111

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	763 276	469 111
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	504 352	1 267 804
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-257 170
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	176	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 267 804	1 479 745

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

შპს ჯორჯიან რემედი ლიმიტედ



ფორმა N 3- ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2022	2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	21 023	-23 079
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	21 023	-23 079
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3 654	24 677
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	24 677	1 598

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

